

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს სეტანტა სპორტს მედია ს/კ 400231806

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
- კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

- ორგანიზაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ვალუტა - ლარი**

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	522,945	40,361	919,809
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,657,359	528,557	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3,755,343	1,344,482	2,793,722
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1,039		
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,623,358	1,516,140	6,747
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა სანარმოებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	7,560,044	3,429,540	3,720,278
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6,795,439	336,660	351,413
საგადასახადო ვალდებულებები	20,946	167,457	186,290
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2,404,780	2,093,357	748,813

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			2,249,276
სხვა ვალდებულებები	11,941	111,157	111,157
სულ ვალდებულებები	9,233,106	2,708,631	3,646,949
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1,739,841	654,130	73,329
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	66,779	66,779	
სულ საკუთარი კაპიტალი	-1,673,062	720,909	73,329
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,560,044	3,429,540	3,720,278

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ვალუტა - ლარი

	2022 წელი	2021 წელი
ნეტო ამონაგები მ.შ.	20,628,268	10,281,694
მომსახურების განწვიდან	20,628,268	10,281,694
გაყიდვების თვითღირებულება	-16,397,145	-5,599,065
საერთო მოგება	4,231,123	4,682,629
სხვა საოპერაციო შემოსავალი		210,581
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1,894,815	-2,493,074
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-106,345	-32,594
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		-241,644
იჯარის ხარჯი	-240,110	-74,444
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2,994,863	-601,362
სულ საოპერაციო ხარჯები	-5,236,133	-3,232,537
საოპერაციო მოგება	-1,005,010	1,450,092
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	487,065	

მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	-517,945	1,450,092
მოგების გადასახადის ხარჯი		-167,339
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-517,945	1,282,753
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-517,945	1,282,753

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ვალუტა - ლარი

	2022 წელი	2021 წელი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	533,735	27,994,508
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ წმინდა ფულადი ნაკადები		-28,873,956
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების ცვლილება	533,735	-879,448
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და ეკვივალენტებზე	-51,151	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგ პერ დასაწყისში	40,361	919,809
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგ პერ ბოლოს	522,945	40,361

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ვალუტა - ლარი

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-517,945	1,282,753
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	720,909	73,329
კაპიტალის გაზრდა დივიდენდის განაწილება	-1,942,805	-701,952
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	66,779	66,779
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1,673,062	720,909

დირექტორი: ლაშა მაჭავარიანი

განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ზოგადი ნაწილი

შპს სეტანტა სპორტს მედია ს/კ 400231806, როგორც სამეწარმეო სუბიექტი და კერძო სამართლის იურიდიული პირი, რეგისტრირებულია 2018 წლის 5 მარტიდან, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 400231806.

კომპანიის წილები ეკუთვნით:

ლაშა მაჭავარიანი, 01024044741, 100 ცალი წილი, 100%

კომპანიის დირექტორია ლაშა მაჭავარიანი, 01024044741.

საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა რეკლამის განთავსება საერთაშორისო სპორტულ ტელეარხზე, რომელზეც რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლებაც აქვს ირლანდიაში რეგისტრირებულ კომპანიას - ეურაზიან ბროდკასტინგ ენტერპრაის ლიმიტედი. სპორტული არხის მაუწყებლობა ხდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

კომპანიის მომხმარებლები არიან არარეზიდენტი იურიდიული პირები, ბუკმეიკერული კომპანია „1 იქს ბეთი, რეგისტრირებული ყაზახეთში და სპორტს ივენთს მარკეტინგი, რეგისტრირებული დუბაიში. ინდივიდუალური მყიდველები ან აბონენტები კომპანიას არ ყავს.

სააღრიცხვო პრინციპები დ მეთოდები

შპს სეტანტა სპორტს მედია აწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად (ორმხრიობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის, შესაბამისობის) პრინციპებს. სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტებით დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. კომპანია განეკუთვნება მე-3 ზომით კატეგორიას. უფლებამოსილია და იყენებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც ვალდებულია შეადგინოს ფინანსურ ანგარიშგება (ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება მოგების ან ზარალისა და

სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დაურთოს განმარტებით შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა. ფინანსური ანგარიშგება გამიზნულია მომხმარებელთა ფართო წრისთვის.

შპს სეტანტა სპორტს მედია ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამა „ორისი“-ის გამოყენებით.

მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკიდან და საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდის ცალკეული დეტალი (წესები, ხერხები, ფორმები, პრაქტიკა) საჭიროებს განმარტებას. კერძოდ:

- ხელფასის გაცემა ხდება ელექტრონულად, სს „საქართველოს ბანკის“ მეშვეობით;
- ნაღდი ფულით ანგარიშსწორება არ მიმდინარეობს;
- ყოველწლიურად, წლის დასაწყისში, დირექტორის ბრძანებით ინიშნებიან ანგარიშვალდებული პირები, რომელთაც ეკისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა;
- საწარმო აწარმოებს საანგარიშსწორებო ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის შესრულების დღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით. ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად კლასიფიცირდება აღიარებისათვის, რაც ნიშნავს, რომ აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი გადაეცემა სუბიექტს.
- მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება ცალკეული ობიექტების მიხედვით და იმ თანხით, რომლის გადახდაც უწევს საწარმოს. ამავე ღირებულებით (ანუ პირვანდელი ღირებულებით) ასახულია ის ანგარიშგებაში;
- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივად აღიარდება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან დაკავშირებულ დანახარჯებს;
- აქტივები შეფასებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან, ექსპლუატაციაში შეყვანასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. აქტივების მოძრაობა, დღიდან მიღებისა, აისახება აქტივების მოძრაობის უწყისეში;
- ცვეთის დარიცხვა ახორციელდება დარიცხვის წრფივი მეთოდით. ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ასახულია ნარჩენი ღირებულებით;
- მიმწოდებლებთან საქონლის მიღება და საანგარიშსწორებო ურთიერთობა ახორციელდება ხელშეკრულებების საფუძველზე. შესაბამისი ინფორმაცია (რიგითი N, ხელშეკრ. N, მიმწოდებლის დასახელება, ვადები, შესყიდვის კოდები, თანხები) აისახება რეესტრში;
- სახარჯი მასალა, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, შესყიდული საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით ბარდება ბრძანებით დანიშნულ პასუხისმგებელ პირს, რომელსაც მიჰყავს გაცემის აღრიცხვა და წარმოადგენს ყოველთვიურ ანგარიშს;
- ყოველი წლის ბოლოს, ანგარიშგების შედგენამდე, ტარდება საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია დირექტორის ბრძანების დაფუძველზე. ინვენტარიზაციის შედეგები რეგულირდება დადგენილი წესების თანახმად;

საგადასახადო ვალდებულებები

- საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში შპს სეტანტა სპორტს მედია მთლიანად

ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისთვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც მოქმედებაშია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის დებულებათა თანახმად დღგ-ს ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ კი საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც საჭიროა სარეალიზაციო საქონლის შექმნისათვის, ჩამოყალიბებისა და სარეალიზაციოდ მომზადებისათვის, გამოიყენება ან გამოყენებული იქნება დასაბეგრ ოპერაციებში. ხოლო იმ შემთხვევაში კი, საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც სარეალიზაციო საქონელს საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს, შეუძლებელია გაიმიჯნოს გამოიყენებოდეს თუ არა დასაბეგრ ოპერაციებში, ვსარგებლობთ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დებულებებით. კერძოდ, თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ:

ა) დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით;

ბ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

დირექტორი
29/9/23

ლაშა მაჭავარიანი

